# გ. ლორთქიფანიძე — მსოფლიო ჩემპიონი

ზლინის ქალაქ გენტში, ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიო პირველობაზე ნ. ანდრიაძის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ხმლით მოფარიკავეთა ტურნირი წარმატებით დაიწყო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა გ. ლორთქიფანიძემ. ამ ნიჭიერმა, მზარდმა სპორტსმენმა ზედიზედ დაამარცხა ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის წარმომადგენლები და გავიდა ფინალში.

გ. ლორთქიფანიძემ კვლავ ალმავლობით ჩაატარა ფინალური შეხვედრაც და სრულიად დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული იუნიორთა შორის.

სამაგიეროდ სუსტად გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები რ. მიხეევი (რაპირა) და ვ. მონძელოვსკი (დაშნა), რომლებმაც მხოლოდ მეოთხე ადგილების მოპოვება შეძლეს. დაშნით ფარიკაობაში ჩემპიონი გახდა ავსტრიელი რ. ლოზარტი.

## ცსკა ფინალში

სოფიაში გაიმართა ფრენბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი სოფიის ცდნა-სა და მოსკოვის არმიელთა გუნდებს შორის. როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრა მოიგეს საბჭოთა ფრენბურთელებმა. მათი უპირატესობით წარიმართა ეს მატჩიც — 3:2. ცსკა გავიდა თასის ფინალში, სადაც შეხვდება ბუქარესტის „რაპიდსა“ და ვარშავის „ლეგიას“ შორის გამარჯვებულს.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

17 აპრილი

ოთხშაბათი, 1963 წ.
№ 76 (2181)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.


## უკანასკნელ საათს!

გუშინ გადადებული X პარტია არ გათამაშებულა. მ. ბოტვინიკის წინადადება მიიღო ტ. პეტროსიანმა და მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა.

ამრიგად, X პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 5,5:4,5 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ.



სურათზე: რთული და ძნელი სამუშაო აქვს ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ბოტვინიკ-პეტროსიანის მატჩის მომსახურე პრეს-ბიუროს. აი ახლაც, გროსმაისტერები (მარცხნიდან) ა. ლილიენტალი, დ. ბრონშტეინი, ვ. სმისლოვი და ს. ფლორი კომენტარს უკეთებენ შექმნილ პოზიციას.

ფოტო ი. ტუროვისა.

[stamp]

# სადღაა „ევროპის თასი“?

შეიძლება თუ არა ეწოდოს ქალთა შორის ტანვარჯიშში ევროპის თასის გათამაშებას სრულფასოვანი შეჯიბრება, თუ კი მასში მონაწილეობას არ მიიღებენ არა თუ კონტინენტის, არამედ მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები — მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები ლ. ლატინინა, ს. მურატოვა, პ. ასტახოვა, ჩეხოსლოვაკელი ბრწყინვალე ტანმოვარჯიშეები ვ. ჩესლავსკა და ე. ბოსაკოვა, 1959 წლის ევროპის თასის მფლობელი პოლონელი ნ. კოტი, კონტინენტის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენები ი. ფიოსტი, ბ. რადოხლა, კ. მანევიცი (გდრ), ს. იოვანი, ე. ლეუშტიანუ-ტეოდორესკუ (რუმინეთი)?

ამ მეტისმეტად არასახარბიელო პრობლემითაა დაკავებული ამ დღეებში ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია. ასეთ მდგომარეობაში კი ფედერაცია ჩააყენა საფრანგეთის ხელისუფლებამ, რომელმაც სამარცხვინო დისკრიმინაციულ აქტს მიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენების მიმართ, არ გასცა მათზე ვიზები პარიზში ჩასასვლელად.

ასე რომ, საზეიმო აფიშებს — „პარიზი, 20-21 აპრილი, 1963 წელი. ევროპის თასი ტანვარჯიშში ქალთა შორის“,— რომლებიც ფრანგებს მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო სპორტულ სანახაობას აუწყებდნენ, დიდი კითხვის ნიშანი დაესვა. საბჭოთა და დემოკრატიული ქვეყნების ტანვარჯიშულმა ფედერაციებმა და სპორტსმენებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს სპორტულ საქმეებში საფრანგეთის მთავრობისა და „ცივი ომის“ პოლიტიკის ტლანქი ჩარევის წინააღმდეგ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებთან სოლიდარობის ნიშნად უარი თქვეს პარიზში ჩასვლაზე, სადაც შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, საერთაშორისო ფედერაციას მაინც სურდა ჩაეტარებინა აღნიშნული ასპარეზობა. სპორტში დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლებმა საერთაშორისო ფედერაციას დაუსვეს ნათელი და სრულიად სამართლიანი წინადადება: ვინაიდან საფრანგეთის ტანვარჯიშულმა ფედერაციამ ვერ უზრუნველყო თასის გათამაშების ნორმალურ პირობებში ჩატარება, იგი გადატანილ უნდა იქნას სხვა ადგილას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ყველა ქვეყნის სპორტსმენთა ჩასვლა.

თუ რა გზას დაადგება ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია, ამას გვიჩვენებს უახლოესი დღეები.

## კიდევ 2 სანტიმეტრით

ლუიზიანაში (აშშ) გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება, სადაც წარმატებით გამოვიდა მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით, ხტომაში ამერიკელი ჯ. პენელი. მან ფიბერგლასის ჭოკით გადალახა 4 მ 97 სმ. ეს მაჩვენებელი 2 სანტიმეტრით აღემატება მისსავე მსოფლიო რეკორდს ღია სტადიონებისათვის.

# მ. ბოტვინიკი — ტ. პეტროსიანი

მოსკოვი (ჩვენი სპეც. კორ.). ისევ ლაზიერის მიღებული გამბიტი აირჩია პეტროსიანმა ორთაბრძოლის X პარტიაში, რომელიც გასულ ორშაბათს შედგა.

ბოტვინიკმა პერსპექტული თამაში მიიღო. მე-13 სვლით მან წამოიწყო ფორსირებული გაცვლები, რომელსაც მისთვის გარკვეული პოზიციური და შეიძლება მატერიალური უპირატესობაც უნდა მიეცა. პეტროსიანმა ღრმად ჩაიხედა პოზიციაში. მან დააკმაყოფილა მსოფლიო ჩემპიონის სურვილი — დაფიდან გაქრა ყველა მსუბუქი ფიგურა. სწორედ ამის შემდეგ გამოჩნდა პეტროსიანის ჩანაფიქრის სიღრმე. პაიკის შეწირვით და ეტლების დაბოლოებაში გადასვლით მან დიდი აქტივობა მოიპოვა. ის კიდევ უფრო გაიზარდა პეტროსიანის მეორე პაიკის დათმობის შემდეგ. ჩემპიონმა ჭარბი ინიციატივის დასათრგუნავად ერთი პაიკი დააბრუნა და გამოაცოცხლა თავისი ეტლის მანევრები. მაგრამ დაფაზე შეიქმნა საყაიმო პოზიცია. პეტროსიანი ადვილად აკავებს თეთრების გამსვლელ პაიკს. ასეთ მდგომარეობაში პარტია გადაიდო.

აი პარტიაც:

**მ. ბოტვინიკი-ტ. პეტროსიანი**

1. d4 d5 2. c4 dc 3. მf3 მf6 4. e3 e6 5. კ:c4 c5 6. 0—0 a6 7. a4 მc6 8. ლe2 cd 9. ეd1 კe7 10. ed 0—0 11. მc3 მb4 12. კg5 კd7 13. d5 ed 14. მ:d5 მb:d5 15. კ:d5 მ:d5 16. ე:d5 კ:g5 17. მ:g5 hg 18. ლd2 hg 19. ე:d7 ლf6 20. ე:b7 ეad8 21. ლa5 ეd6 22. ლb4 ეfd8 23. ეf1 ეd4 24. ლb3 ეd3 25. ლc2 ეd2 26. ლc7 ლf4 27. ლ:f4 gf 28. h4 ეc8 29. ეb4 f3 30. gf ეcc2 31. b3 ეb2 32. მფg2 ეd3 33. ეd8+ მფh7 34. ეb7 f6 35. ეe1 ეd:b3 36. ე:b3 ე:b3 37. ეe6 ეb4 38. ეa6 ე:h4 39. მფg3 g5 40. მფg2 მფg6 41. ეa8 ეf4 42. a5 ეa4 43. a6 პარტია გადაიდო.



„ტრაგიკული მომენტი“ მოსკოვის „სპარტაკის“ კართან. მიმდინარეობდა მატჩის ბოლო წუთი. ჩემპიონს 2 ქულა თითქმის უკვე გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ ამ დროს მინსკელებმა მარჯვენა ფრთიდან განახორციელეს გარღვევა, ბურთი ზედ კარის ხაზთან მიიღო მუსტიგინმა და გაიტანა კარში.

სურათზე: მეკარე ვ. მასლაჩენკო და ცენტრფორვარდი მ. მუსტიგინი მიწაზე არიან გატანილი გოლის შემდეგ. ტრაგიკულ პოზაში დგას მცველი გ. ლოგოფეტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## პრაღაში განაწილდა მედლები

პრაღაში დამთავრდა მსოფლიო პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

ვაჟთა შორის ჯერ კიდევ გადამწყვეტ ბრძოლებამდე ნათელი იყო, რომ გამარჯვება კვლავ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენებს დარჩებოდათ. ამის უტყუარი ნიშანი იყო მათი 4 სპორტსმენის ნახევარფინალში გასვლა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი ჭუან ძე-დუნი და ლი ფუ-ჟუნა. გამარჯვება წილად ხვდა ჭუან ძე-დუნს (3:1), რითაც მან შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის სახელი.

ქალთა ფინალში წარმატებით იბრძოდა რუმინელი მ. ალექსანდრუ. მან იაპონიის ჩემპიონ კ. მაცუძაკასთან მოიგო პირველი ორი პარტია, ლიდერობდა მესამე პარტიაშიც, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა — 2:3 და პირველი ადგილი იაპონელს დაუთმო.

ვაჟთა წყვილების შეხვედრაში გაიმარჯვეს ჩინელებმა ვან ჯი-ლიანმა და ჟან ში-ლინმა. ქალთა და შერეულ წყვილთა ფინალმა ოქროს მედლები მოუტანა იაპონელ სპორტსმენებს ტ. მაცუძაკა-მ. სეკისა და კ. კიმურა-კ. იტოს.

## ახალი რეკორდები ძალოსნობაში

კრივოი-როგში დამთავრდა უკრაინის III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძალოსნობაში. დიდ წარმატებას მიაღწია დნეპროპეტროვსკელმა ქვემძიმე წონის ძალოსანმა ე. ბროვკომ. მან 184 კილოგრამი აკრა და ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა მისივე საკავშირო რეკორდი.

• • •

საბჭოთა სპორტსმენმა რ. ოვანესოვმა ატაცში 112 კილოგრამი აწია. ეს მსოფლიოს ახალი რეკორდია მსუბუქი წონის ძალოსანთათვის იუნიორთა შორის.

## თასი მოიპოვეს მოსკოველებმა

მოსკოვის „ტრუდის“ ხელბურთელ ქალთა გუნდი მონაწილეობდა ევროპის თასის გათამაშებაში. მოსკოველებმა დაამარცხეს პოლონეთის „რუხი“, პრაღის „სპარტაკ-სოკოლოვო“, გდრ-ს ჩემპიონი „სკ ფორტშრიტი“ და ფინალში შეხვდნენ დანიის „ფიფ ვირუნს“. ფინალი შედგა 15 აპრილს პრაღაში. მატჩი მიმდინარეობდა საინტერესოდ და დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით — 11:8, რითაც მოსკოვის „ტრუდმა“ მოიპოვა ევროპის თასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კემპინგი ემზადება სტუმრების მისაღებად

ავტოტურიზმი ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ქალაქებში განუწყვეტლივ მოგზაურობენ საბჭოთა და უცხოელი ავტოტურისტები. მათი უკეთ მომსახურების მიზნით აიგო ავტოპანსიონატები და კემპინგები.

თბილისის კემპინგს უკვე ორი წლის გამოცდილება აქვს ავტოტურისტთა მომსახურების საქმეში. წელს ავტოტურისტთა ეს საყვარელი ადგილი ემზადება სტუმართა შეხახვედრად. გასულ წლებთან შედარებით ტერიტორიაზე დაირგო მრავალი სხვადასხვა სახის მწვანე მცენარე, საცხოვრებელი ჯიხურების წინ აყვავდა ყვავილნარები და სხვ. კემპინგში ჩამოსული სტუმრებისათვის წელს ყოველგვარი პირობა იქნება შექმნილი მათი უკეთ მომსახურებისათვის. ტურისტთა განკარგულებაში იქნება საოჯახო სამზარეულო-სასადილო პავილიონი, სპორტული და საცეკვაო მოედანი, სამრეცხაო, ხაშხაპეები და სხვ. ტურისტები ადგილზევე მიიღებენ საჭირო კონსულტაციებს...

• • •

სურათზე: კემპინგის საერთო ხედი.

ფოტო და ტექსტი თ. გაჩეჩილაძისა.



# ჭილდოებს დაიმსახურებენ საუკეთესონი



დავას არ იწვევს ის აზრი, რომ ქართული ჭიდაობის დანერგვისა და განვითარების საქმე რესპუბლიკის რაიონებში სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დგას.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე? 1958 წელს თბილისში გაიმართა სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა მოჭიდავემ. განსაკუთრებული აღმავლობით ჩატარდა შეჯიბრება 1959 წელს. ამ წელს საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება გაიმართა რაიონების 46 ნაკრებ გუნდს შორის და მასში მონაწილეობდა 337 სპორტსმენი.

მომდევნო 1960 და 1961 წლებში ქართულ ჭიდაობაში ჩაბმულ მოჭიდავეთა რიცხვმა მკვეთრად იკლო. ამ წლებში რესპუბლიკის კოლმეურნე სპორტსმენთა შეჯიბრებაში მონაწილეთა რიცხვი 93-ს უდრიდა, ხოლო ნაკრები გუნდების რაოდენობა 15-მდე შემცირდა. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ გასულ წელს სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური შეჯიბრება არ ჩატარებულა, თუმცა სოფლის უმრავლეს ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის ტარდებოდა შეჯიბრებები, სამატჩო შეხვედრები და შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, რამაც ერთგვარად გაზარდა რესპუბლიკის სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში ქართული სტილის მოჭიდავეთა რიცხვი.

„კოლმეურნის" რესპუბლიკურმა საბჭომ გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და გადაწყვიტა მკვეთრად გამოასწოროს მუშაობა. ის გარემოება, რომ კალენდარში გათვალისწინებულია რესპუბლიკური მასშტაბის მხოლოდ ერთი შეჯიბრება, ვერ უზრუნველყოფს ქართული ჭიდაობის მასობრიობის აღდგენას სოფლის ახალგაზრდობას შორის. ამიტომ „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ რესპუბლიკის ყველა სასოფლო რაიონი დაყო 5 ზონად, რათა ფიზკულტურულ კოლექტივებს შეჯიბრებაში მონაწილეობის მეტი საშუალება მიეცეთ. შეჯიბრებები ზონებში გათვალისწინებულია მოეწყოს საგაზაფხულო მოსავლის აღებასთან დაკავშირებით მაისში. ზონალურ შეჯიბრებებს წინ უნდა უსწრებდეს შეჯიბრებები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შეხვედრები მათ შორის, შემდეგ კი — რაიონული პირველობები.

რესპუბლიკურ პირველობაზე, რომელიც თბილისში გაიმართება 28 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე, გუნდებისა და ცალკეულ ფალავანთა წახალისების მიზნით დაწესებულია სხვადასხვა ჯილდოები. ამას გარდა, გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა გარდამავალი თასი, ხოლო ცალკეულ წონით კატეგორიებში გამარჯვებული ფალავნები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

## ქართული ჭიდაობა

ჭიდაობათა ყველა სახეობაში რესპუბლიკის სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ წარმატებათა საფუძველია. **ხელი შევუწყოთ ახალი ძალით მის აღორძინებას!**

• • •

რედაქციისაგან: გაზეთ „ლელოს" რედაქცია მიესალმება სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ქართულ ჭიდაობაში უკანასკნელ ხანს მიმქრალი ტრადიციების აღორძინებისაკენ, ამ უბანზე მუშაობის გააქტიურებისაკენ. ამავე მიზნით „ლელოს" რედაქცია აწესებს საკუთარ პრიზს ქართული სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე — „მრავალფეროვანი ტექნიკისა და აქტიური ჭიდაობისათვის".

# გაზეთ „პრავდის" პრიზზე

ბათუმში, ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკში, გაიმართა ქალაქის პირველობა მძლეოსნურ კროსში გაზეთ „პრავდის" პრიზზე. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ სამედიცინო სკოლის, პროფტექსასწავლებლების, საავიაციო ტექნიკუმისა და სხვათა კოლექტივები.

1000 მ დისტანციაზე ქალთა შორის წარმატებით გამოვიდნენ სამედიცინო სკოლის სპორტსმენები ნ. იაკობიძე და ც. შარაშიძე, რომლებმაც პირველი და მესამე ადგილები მოიპოვეს. მეორე ადგილი წილად ხვდა საავიაციო ტექნიკუმის გუნდის წევრს ნ. ბოლქვაძეს.

ჭაბუკთა 3000-მეტრიანი დისტანციის ფინიშზე ყველაზე ადრე მივიდა ლოკომოტიველი ი. ზეინანოღლი, ვაჟთა 8000-მეტრიან დისტანციაზე კი პირველობა არავის დაუთმო დინამოელმა ვ. შჩერბაკოვმა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა „დინამოს" მეორე კოლექტივმა.

ა. კებაბჩიანი

## კორესპონდენტები გვატყობინებენ

### სურამი

დადგა გაზაფხულის დღეები. საკურორტო დაბა სურამის სპორტული საზოგადოებრიობა ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს (თავმჯდომარე დ. სალაყაია) დახმარებით შეუდგნენ სპორტული მოედნებისა და სტადიონის მომზადებას შეჯიბრებებისათვის. ფიზკულტურისა და სპორტის აქტივისტებმა, ფეხბურთის ვეტერანმა ხ. არუცევმა და სპორტის გულშემატკივრებმა მიხაილოვმა, კიკნაძემ, ჯობაძემ და სხვებმა დიდი სამუშაოები ჩაატარეს ახალი სტადიონის, გორგოლაჭებიანი საციგურაოს მოწყობისათვის. „განთიადის" ველოსექციამ ზაფხულის სეზონისათვის უნდა მოაწყოს ბაზა სურამის ბავშვებისა და ჭაბუკებისათვის (სექციის თავმჯდომარე ვ. აბზიანიძე). „განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ დახმარების სახით სურამის კოლექტივს გამოუყო სპორტული ინვენტარი და ფორმა.

მიმდინარე ზაფხულის სეზონში გაიმართება ამხანაგური შეხვედრები სურამისა და თბილისის წარმოება-დაწესებულებათა გუნდებს შორის, მოეწყობა დასვენების დღის ტურისტული ლაშქრობანი (სურამის უღელტეხილზე, სურამის ციხეზე და სხვაგან). მიმდინარე წელს სურამის ფეხბურთელთა გუნდი „ამირანი" მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის პირველობაში მეორე ჯგუფის გუნდებს შორის.

გ. ჩხიკვაძე

✦

### თბილისი

ახლახან ჩატარდა ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის შიდასაწარმოო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც შედიოდა სპორტის ხუთი სახეობა: მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, ტყვიით სროლა და მძლეოსნობა.

სპარტაკიადაზე გამარჯვებული გამოვიდა შემკერავი საამქრო № 2. მეორე ადგილზეა შემკერავი საამქრო № 7, ხოლო მესამეზე — დამამზადებელი საამქრო № 2.

ჯ. მორგოშია

# მხარს ვუჭერთ

## მკითხველთა საფოსტო

გავეცანით თქვენი გაზეთის 6 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ი. კაბისოვის წერილს „შევქმნათ მოძრავი თამაშების სექციები". კაბისოვის მიერ წამოყენებულ საკითხს უთუოდ გადაჭრა უნდა. მოძრავი თამაშები ხომ ბავშვის ყველაზე საყვარელი საქმიანობაა. განსაკუთრებით 14 წლამდე ასაკის ბავშვები დიდი ინტერესით მოელიან ხოლმე ფიზკულტურის გაკვეთილის ბოლო ნაწილს, რადგან იციან, რომ მათთვის რაიმე მოძრავი თამაში ჩატარდება.

მოძრავი თამაში ბავშვს უვითარებს შემოქმედებით ინიციატივას, კოლექტივისადმი სიყვარულს, დისციპლინას და ორგანიზებულობას. თუ რამდენად საჭიროა მოძრავი თამაშების სექციების შექმნა, გავიხსენოთ რა თქვა ამასთან დაკავშირებით ნ. კრუპსკაიამ: „ჩვენ ვიცით, რომ ბავშვები სწავლობენ არა მარტო სწავლების დროს, არამედ თამაშის დროსაც, ისინი სწავლობენ ორგანიზებულობას, ეცნობიან ცხოვრებას. კოლექტიურ თამაშებში გამომუშავდებიან ბავშვები ორგანიზატორები და ბავშვები მეთაურები"... ლესგაფტმა კი თქვა, რომ „თამაში არის ვარჯიში, რომლის საშუალებით ბავშვი ემზადება ცხოვრებისთვის". აი ასე დიდ და დადებით მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი მოძრავ თამაშებს.

კარგი იქნება თუ ზემდგომი ორგანოები მხედველობაში მიიღებენ ამ სასარგებლო წამოწყებას და შექმნიან მოძრავი თამაშების სექციებს ბავშვთა სპორტულ სკოლებსა და პიონერთა სახლებში.

აკ. ჯაფიაშვილი,
ბორჯომის I საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.

★

## რატომ არ ტარდება სემინარები ძალოსნობაში?

ვინც კარგად იცნობს ჩვენს რესპუბლიკაში ძალოსნური სპორტის წარსულსა და აწმყოს, არ შეიძლება არ მივიდეს არასასიამოვნო დასკვნამდე: უკანასკნელ წლებში ჩვენმა ძალოსნებმა საგრძნობლად დათმეს პოზიციები.

წარსულს ჩაბარდა ვ. სვეტილკოს, მ. კასიანიკის, მ. ღლენტისა და სხვათა ბრწყინვალე გამოსვლები არა მარტო საკავშირო, არამედ მსოფლიო ასპარეზზე.

ამ ჩამორჩენას ალბათ მრავალი მიზეზი აქვს. მე მინდა შევჩერდე მხოლოდ ერთზე — რატომღაც არავინ ზრუნავს რაიონებში მომუშავე მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. დახმარებასა და ხელის შეწყობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

უკვე ათ წელზე მეტია არ ჩატარებულა მსაჯთა და მწვრთნელთა რესპუბლიკური სემინარი, თუმცა ამ პერიოდში დიდი ცვლილებები მოხდა როგორც წვრთნის მეთოდიკაში, ისე შეჯიბრების წესებში.

საინტერესოა როგორ ტარდება სემინარები სპორტის სხვა სახეობებში? რით ავხსნათ ასეთი უყურადღებობა ძალოსნობის მიმართ?

რ. ხაამოვი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# „კოლმეურნე“

ადგილებზე ჩატარებული მუშაობის შემოწმების მიზნით „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ თბილისში „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გამართა საზოგადოების მძლეოსანთა პირადი პირველობა, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა. სამწუხაროდ, შედეგებმა ცხადჰყვეს, რომ სოფლის სპორტსმენებს თავი მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ ნაყოფიერად გამოეყენებინათ ზამთრის პერიოდი და მაღალი შედეგებით გამოსულიყვნენ ამ სეზონის თავიანთ პირველ შეჯიბრებაზე. პროგრამის 18 სახეობაში ნაჩვენები იქნა პირველი თანრიგის ერთი და მეორე თანრიგის მხოლოდ სამი შედეგი, სხვები, გამარჯვებულნიც კი, მესამე თანრიგით დაკმაყოფილდნენ ან ამ ზღვარამდეც ვერ მიაღწიეს.

დაბალი შედეგები განაპირობა იმანაც, რომ შეჯიბრებაზე ვერ ჩამოვიდნენ შეკრებაზე მყოფი რესპუბლიკური ნაკრების წევრები (ქ. კახიშვილი, ი. ართმელაძე და სხვები), მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამსუბუქებს მდგომარეობას.

სუსტად იყვნენ მომზადებულნი გარდაბნის, მახარაძის, ზუგდიდის, გურჯაანისა და სხვათა ზოგიერთი მძლეოსნები. ასე მაგალითად, 1500 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა ზ. შენგელიამ (ზუგდიდი) აჩვენა 5.08,4, მისმა თანაგუნდელმა გ. გვილავამ 5000 მეტრის გარბენას მოანდომა 18.29,6. უთანრიგოდ დარჩა 800 მეტრზე რბენაში უძლიერესი ქ. ჭილაშვილიც (გურჯაანი) — 2.46,0 და სხვ.

შედარებით დამაკმაყოფილებელი იყო ვაჟთა შორის შუბის ტყორცნაში პირველ ადგილზე გამოსულ ნ. კორსანტიას (აფხაზეთი) მაჩვენებელი — 67.99 მ. ეს შედეგი თითქმის 3 მეტრით აღემატება I თანრიგს. II თანრიგით გაიმარჯვეს სიმაღლეზე ხტომაში გ. ქაჯაიამ (ზუგდიდი) — 175 სმ, 100 მ რბენაში უძლიერესმა კ. ახალაიამ (ზუგდიდი) — 11,4 და ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში პირველმა ც. ჩოლიაშვილმა (დუშეთი) — 5.33 მ.

ვაჟთა შეჯიბრებაში სამი პირველი ადგილი მოიპოვა დუშელმა ო. ოდიშვილმა. მან გამარჯვება არავის დაუთმო ბადროს ტყორცნაში, ბირთვის კვრასა და უროს ტყორცნაში. მისმა თანაგუნდელმა მ. თათარაშვილმა ქალთა შორის ასეთივე დუბლი გააკეთა ბადროს ტყორცნასა და ბირთვის [illegible] მარჩენკომ (გარ[illegible]) 400 და 200 მეტრზე რბენაში.

სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: ქალთა სიმაღლეზე ხტომაში ლ. შურღაიამ (ზუგდიდი) — 140 სმ, ვაჟთა 200 მ რბენაში კ. ახალაიამ — 23,8, 400 მ რბენაში — ზ. ხანთაძემ (მახარაძე) — 52,8, სიგრძეზე ხტომაში — ო. სიხარულიძემ (მახარაძე) — 5.65 და სხვ.



# დიდი სეზონის სტარტზე

როცა ზამთარში სტადიონებს თოვლი ფარავს, მძლეოსნები, როგორც წესი, სპორტულ დარბაზებში გადადიან და უქმად აქაც არ არიან. მიმდინარე ზაფხულის სეზონისათვის სამზადისში გაიმართა მთელი რიგი შეჯიბრებანი და იანვრის პირველ დღეებიდანვე მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიოდა ცნობები მაღალი შედეგების შესახებ, იგრძნობოდა ოლიმპიური თამაშების მოახლოება.

ამ პერიოდისათვის სამხრეთ ნახევარსფეროზე ზაფხული იყო და მძლეოსნები აჩვენებდნენ მთელ რიგ მაღალ შედეგებს. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ავსტრალიელი მორბენლები. მ. ჰალბერგმა 5.000 მეტრზე რბენაში აჩვენა 13 წუთი და 41,2 წამი, რაც ბევრად არ ჩამორჩება ვ. კუცის მსოფლიო რეკორდს (13 წუთი, 35 წამი). ქალთა შორის მ. ბარბილმა 200 მეტრზე რბენაში აჩვენა 23 წამი და მხოლოდ 0,2 წამი დააკლდა მსოფლიო რეკორდამდე. პ. კილბორნმა 80 მეტრზე თარჯრბენში (მართალია ზურგქარში) აჩვენა მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი — 10,4 წამი. შესანიშნავად გამოვიდა 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბ. კატბერტი, რომელმაც უკანასკნელ ხანებში სპრინტიდან საშუალო დისტანციებზე გადაინაცვლა. მან 440 იარდზე (401,3 მეტრი) რბენაში აჩვენა 53,3 წამი და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. როგორც ვხედავთ, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე სსრ კავშირის მძლეოსან ქალებს ძლიერ კონკურენციას გაუწევენ არა მარტო ძველი მეტოქეები — გდრ-ს, გფრ-სა და პოლონეთის, არამედ ავსტრალიის სპორტსმენებიც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ზამთრის საშეჯიბრებო პერიოდი მიმდინარეობდა ამერიკა-სსრ კავშირის მომავალი მატჩისა და ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების დროშით. ამერიკელებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ ისინი კვლავინდებურად უძლიერესებად რჩებიან სპრინტში (რ. ჰეიესმა გაიმეორა მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე რბენაში—20,5), ბირთვის კვრაში (ჰ. გუბნერმა აჩვენა 19 მ 68 სმ) და მთელ რიგ სხვა სახეობებში, ამასთან აქ ტრადიციად დამკვიდრდა ზამთრის შეჯიბრებებზე სხვა ქვეყნების უძლიერეს სპორტსმენთა მიწვევაც, რაც არა მარტო მაყურებლებს იზიდავს, არამედ სპორტის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაცაა.

წელს სამი საბჭოთა სპორტსმენი იქნა მიწვეული ამერიკელთა მიერ. მსოფლიო რეკორდსმენები ვ. ბრუმელი, ი. ტერ-ოვანესიანი და ევროპის პირველობის პრიზიორი ვ. ბულიშევი, რომლებმაც მასპინძლებთან, აგრეთვე პოლონეთის, გერმანიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების მძლეოსნებთან ერთად რამდენიმე დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. ამერიკის დარბაზებში საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებმა ცხადყო, რომ მათ წარმატებათა მოპოვება შეუძლიათ არა მარტო ზაფხულში, არამედ ზამთარშიც.

ზამთრის პერიოდი აღსანიშნავია კიდევ იმითაც, რომ საგრძნობლად იზრდებოდა ჭოკით მხტომელთა შედეგები; სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ფიბერგლასის ჭოკი საშუალებას იძლევა სპორტსმენთა მიღწევები მოკლე დროში დაახლოებით ნახევარი მეტრით გაიზარდოს, მაგრამ ამ ჭოკით ხტომის ტექნიკის ათვისება გაცილებით ძნელია, ვიდრე ლითონისა. ვინც ყველაზე ადრე დაადგამს „უნაგირს“ ფიბერგლასის „ცხენს“, დაწინაურდება კიდეც. ასე დაწინაურდა ფინელი პ. ნიკულა, რომელმაც ყველაზე ადრე აითვისა ჭოკი და მიაღწია ბრწყინვალე შედეგს. მან მსოფლიო რეკორდის ჭერი დახურული შენობისათვის 5 მ 10 სმ-დე აწია.

ვიდრე დარბაზებში ბრძოლა მიმდინარეობდა ჰეგემონიისათვის, ახალგაზრდა, მანამდე თითქმის უცნობმა ჭოკით მხტომელმა ჯ. პენელმა ღია სტადიონზე გადალახა 4.95 მ სიმაღლე, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია, მაგრამ საინტერესოა რამდენ ხანს გაძლებს იგი. ვფიქრობთ, მცირე ხანს.

რას აკეთებდნენ ამ დროს ჩვენი მხტომელები? ცოდვა გამხელილი ჯობს: მათ წელიწადნახევარი დახარჯეს ფიბერგლასის ჭოკის აკრძალვისათვის მოწოდებებში და ნაკლებად იზრუნეს მის ათვისებაზე. ბოლოს ჭოკმა მოიპოვა საერთაშორისო მოქალაქეობრივი უფლება და ჩვენ კი ჩამოვრჩით. ჯერჯერობით გ. ბლიზნეცოვმა ამგვარი ინვენტარით მხოლოდ 4 მ 55 სმ დაძლია.

ამერიკელთაგან განსხვავებით ჩვენი მძლეოსნები ზამთრობით არ ცდილობენ მაღალი შედეგების ჩვენებას. ზამთრის სტარტების ძირითად ამოცანას ისინი ზაფხულისათვის სამზადისში ხედავენ. ამ მიზნით ზამთრის პროგრამაში შეაქვთ საერთო ფიზმომზადება და მას უთმობენ მთელ ყურადღებას არა მარტო ვარჯიშებზე, არამედ შეჯიბრებებშიც. ფიზკულტურული კოლექტივების, საქალაქო, რესპუბლიკური, სპორტსაზოგადოებებისა და ბოლოს, ზამთრის საკავშირო შეჯიბრება, რომელიც ლენინგრადში გაიმართა, სწორედ სპორტსმენთა ფიზმომზადების შემოწმებას დაეთმო.

ერთი სიტყვით, ზამთრის სტარტების პროგრამა გულდასმით გადასინჯვას საჭიროებს. ცხადია, სასიამოვნოა, როცა ზამთრის შეჯიბრებებზე მაინც გამოჩნდება მაღალი შედეგები, რაც იმედს იძლევა, რომ ზაფხულში იგი კიდევ უფრო გაიზრდება. მაგალითად, კლასიკურ მრავალჭიდში ი. პრესმა 5.225 ქულა მოაგროვა და გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა დახურული შენობისათვის, სენსაციური იყო ვ. ბრუმელის გამოსვლაც ექვსჭიდში. მან 5.873 ქულა დააგროვა და 744 ქულით გააუმჯობესა ვ. კუზნეცოვის საკავშირო მიღწევა. ბრუმელს ამ შეჯიბრებაზე ძალები რომ ეცადა, ათჭიდში მას თავისუფლად შეეძლო მოეგროვებია 8000-ზე მეტი ქულა. ბრუმელს მაღალი შედეგების მოპოვებაში დაეხმარა სიმაღლეზე ხტომაში 220 სმ-ის დაძლევა. ამან მას 1900-ზე მეტი ქულა მოუტანა.

ზამთრის პერიოდში არანაკლებ პრობლემატური იყო ჩვენი ქვეყნის ნაკრების „მეორე ნომრების“ საკითხიც. თუ ვიმსჯელებთ ვ. ბოლშოვის (სიმაღლე—2 მ 15 სმ), ნ. კარასევის (ბირთვი—18 მ 22 სმ), ა. ვაუპშას (სიგრძე—7 მ 80 სმ) მაჩვენებლებით, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი ზაფხულში უკეთეს შედეგებს მიაღწევენ.

დადგა გაზაფხულიც. დაიწყო შეჯიბრებები ღია ცის ქვეშ არც თუ ისე ცუდი შედეგებით. ამას წინათ საბჭოთა მორბენლები გამოდიოდნენ პარიზში გაზეთ „იუმანიტეს“ პრიზზე. თ. ბაბინცევამ ყველას აჯობა ქალთა შორის, ხოლო მ. ბოლოტნიკოვმა და ლ. ივანოვმა II-III ადგილები დაიკავეს. გუნდური პირველობაც ჩვენია.

წინაა მთელი რიგი საკავშირო და საერთაშორისო ღონისძიებანი. პირველ რიგში კროსი გაზეთ „პრავდის“ პრიზზე. იმედია, მომავალი შეჯიბრებები კვლავაც მაღალი შედეგებით აღინიშნება, მაგრამ თავი დავანებოთ პროგნოზებს და ველოდოთ მათ.

**ა. სამოცვეტოვი,**
**სპორტის ოსტატი,**
**„ნოვოსტის“ სააგენტოს კორესპონდენტი.**

მ ძ ღ ე ო ს ნ ო ბ ა





მიუხედავად იმისა, რომ „კოლმეურნის“ მძლეოსანთა პირად პირველობაზე მთელ რიგ სახეობებში ნაჩვენები არ ყოფილა მაღალი შედეგები, შეჯიბრებამ მაინც გამოავლინა მზარდი სპორტსმენები, რომლებისგანაც უახლოეს ხანში კარგ შედეგებს უნდა ველოდოთ. ეს პირველ რიგში ითქმის ნ. კორსანტიას შესახებ (სურათზე ზევით, მარჯვნივ). მას უკვე შესაძლებლობა აქვს შეასრულოს ოსტატის ნორმა. პერსპექტულები არიან აგრეთვე ო. ოდიშვილი (მეორე სურათზე) და მ. თათარაშვილი (სურათი ქვევით).

ფოტო ი. იუნაევისა.

# იუნიორთა ტურნირზე

ინგლისში, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის ტრადიციული ტურნირი იუნიორთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

სსრ კავშირის ნაკრებს პირველი მატჩი ჰქონდა პრიზის შარშანდელ მფლობელთან — რუმინეთის ნაკრებთან. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც რუმინელთა მარცხენა გარემარბმა პავლოვიჩმა გაიტანა მოწინააღმდეგის კარში — 1:0.

პირველი ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: საბერძნეთი-გფრ — 7:2, შოტლანდია-შვეიცარია — 3:1, ბულგარეთი-საფრანგეთი — 2:0, იტალია-უნგრეთი — 3:0, ინგლისი-ჰოლანდია — 5:0, ჩეხოსლოვაკია-შვეცია — 4:2, ჩრ. ირლანდია-ბელგია — 2:1.

საბჭოთა იუნიორთა მეორე მოწინააღმდეგე იყო ინგლისის ნაკრები. ინგლისელებმა ძლიერად ჩაატარეს თამაში და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 3:1.

## საფეხბურთო ბრძოლის შემდეგ...

ფოტოეტიუდი მ. თათარიშვილისა.



საყოველთაოდ ცნობილია სახელგანთქმული ფრანგი სპორტსმენი-მკვლევარის ნორბერტ კასტერეს სახელი. ქართულად ითარგმნა და გამოიცა მისი შესანიშნავი წიგნი „ათი წელი მიწის ქვეშ“. სულ ახლახან გამოვიდა კასტერეს ახალი წიგნი „უფსკრული გვიხმობს“. ამ წიგნში აღწერილია ავტორის მიერ 1956-1959 წლებში პირინეის მთებში ჩატარებული ექსპედიციების შედეგები. ამავე დროს ეს წიგნი წარმოადგენს მისი ნახევარსაუკუნოვანი კვლევის, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკანასკნელ აკორდს. წიგნში კასტერე მისთვის ჩვეული ოსტატობითა და უშუალობით აგვიწერს იმ სიძნელეებით აღსავსე თავგადასავლებს, რომლებიც თავს გადახდათ მიწისქვეშეთის მკვლევარებს. ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან, რომელიც თარგმნა ჯ. ჯიშკარიანმა.

# უფსკრული გვიხმობს

14 აგვისტოს კუმ უარნედის ბანაკში მთელი ღამე ენთო კოცონი, დაწესებული იყო ღამის მორიგეობა, შედგა „სამხედრო საბჭო“, დავამტკიცეთ მეორე დღის სამოქმედო გეგმა და რაზმების შემადგენლობა, თითოეულმა მიიღო მკაცრად განსაზღვრული მარშრუტი და დავალება.

ექსპედიცია დასასრულს უახლოვდებოდა. ამ ჯგუფებს უნდა ჩაეღწიათ, რაც შეიძლება ღრმად და შორს.

ჩვიდმეტ საათზე რაიმონდას უფსკრულიდან ჯგუფი ბანაკში დაბრუნდა. სამივე—ლეში, ჩავუ და ვერანდესი ძლიერ დასველებულები და იმედგაცრუებულები იყვნენ: პატარა ნაკადული ნიაღვრად ქცეულიყო, რის გამოც ექსინეცის ტბის გადაცურვა ვერ მოეხერხებინათ. მთელი საჭურველი, რომელიც ასმეტრიანი ჩანჩქერის კიდეზე იყო მოგროვილი, მიუწვდომელი იყო ან შესაძლებელია, სავსებით დაღუპულიც.

განუწყვეტლად წვიმდა, ბანაკში ყველა შეშფოთებული იყო წყალდიდობით. წყლის ნაკადი სულ უფრო ბობოქარი და მღვრიე ხდებოდა. რამდენიმეჯერ ლავრეკეთ პერის უფსკრულში და დაჟინებით გავაფრთხილეთ წყლის სახიფათო ადიდების გამო.

დაახლოებით საღამოს რვა საათზე ჟიკელმა დარეკა და გვაცნობა: ჩანჩქერებში ფლეორესცეინი გამოჩნდა, რომელიც სულ უფრო შესამჩნევი ხდება. მოგვიანებით გვაცნობა, რომ I ბანაკის კარავი წყალს წაუღია, ხოლო II ბანაკი იძულებით დავტოვეთ მოძალებული წყლის ნაკადის გამო. მანვე გაგვაფრთხილა, რომ ბანაკს გადაიტანდნენ მშრალ კალაპოტში, სადაც მიწისქვეშა ნაკადი ვერ აღწევდა. აგრეთვე გვაცნობა მეორე უსიამოვნო ამბავიც: მოწინავე რაზმი — ნალენი, ვეიდერი და ნუნცი ჯერ კიდევ არ ჩანდნენ, თუმცა საკმაო დრო იყო გასული. ალბად წყალდიდობის გამო წარმოიშვა სიფონი, რომელმაც უკან დასახევი გზა მოუჭრა მათ. დალტეიმ გადაწყვიტა საძებრად წასულიყო, მაგრამ ჯერ არც ის დაბრუნებულა.

შუაღამისას წყლის დონემ ზედაპირზე იმდენად აიწია, რომ უკვე სერიოზულად ვწუხდით ამხანაგების ბედზე, რომლებიც ასე შორს და ასე ღრმად იყვნენ გამომწყვდეულნი მიწის სიღრმეში. საბედნიეროდ ხმაურიან და ქაფმორეულ ჩანჩქერებს, რომლებიც ერთმანეთის გვერდით მდებარე პერის უფსკრულის ჭაში ვარდებოდნენ, ტელეფონის ხაზი არ დაუზიანებია. ჟიკელს, რომელიც მშრალ იარუსში იყო შეფარებული, შეეძლო ჩვენთან დაკავშირება. ოთხი დაკარგული მეგობრის შესახებ ჯერ არაფერი ისმოდა.

სწორედ ამაში ვლინდება მიწისქვეშა ნაკადების საშიშროება: მათ შეუძლიათ მოულოდნელად ადიდდნენ, ჩაკეტონ სიფონები და წყლის მილების მსგავსად ამოავსონ გასასვლელები. ასეთ დროს სპელეოლოგები, რომლებიც მიცურავენ ან ისე მიდიან მიწის ქვეშ, აღმოჩნდებიან სრულიად უმწეო მდგომარეობაში. ჩვენ ტელეფონს არ ვშორდებოდით და ვურჩევდით ამხანაგებს დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ჟიკელს და პროპოს ამის გაგონებაც არ სურდათ. მათმა გაუგებარმა ოპტიმიზმმა და შეუპოვრობამ ის გამოიწვია, რომ მიწისქვეშა ლაბირინთში ჩაკეტილი და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოთხეულისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ.

სიმართლე რომ ითქვას, თუ მათი მდგომარეობა არასახარბიელო იყო, ჩვენ ნამდვილად სწვაგვარ სატანჯველს განვიცდიდით. წინათ მე ყოველთვის მოწინავე რაზმში ვიყავი და მხოლოდ ახლა გავიგე იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც ზედაპირზე იმყოფებიან. გავიგე მათი აუტანელი წუხილი. საზარელია იმის შეგნება, რომ შენი ამხანაგები საფრთხეში არიან, იქნებ იღუპებიან კიდეც, შენ კი ვერაფრით ვერ ეხმარები.

ღამე ნელა იწურებოდა. ხშირ-ხშირად ვაკვირდებოდი წყლის დონეს, რომელიც ტალახის ნაკადს დაემსგავსა. ჩემს მიერ გაკეთებული ნიშნულებით მივხვდი, რომ დონე აღარ მატულობდა, თუმცა განუწყვეტლივ წვიმდა. ბოლოს ღამის ორ საათზე მოისმა ტელეფონის სუსტი ზარი. ცნობა მოკლე იყო, მაგრამ დამამშვიდებელი. დაკარგულებს მიწისქვეშა ბანაკამდის მიეღწიათ. მართალია, დიდი წვალებით, მაგრამ უვნებლად. ეს კი მთავარი იყო.

ვილაპარაკე დალტეისთან. მან თავმდაბლად მომახსენა მოწინავე რაზმის მოძებნის ამბავი. ბედნიერი შემთხვევისა და ალღოს წყალობით მან ღვართქაფად ქცეული ნაკადის ზემოთ აღმოაჩინა ღერეფანი და იმას გაჰყვა. ამ გასასვლელით მან ზემოდან გადაუარა სიფონს, ხოლო შემდეგ დაეშვა მიწისქვეშა ნაკადის კალაპოტში, სადაც წააწყდა ნალენს, ვეიდერსა და ნუნცის. მან წამოიყვანა ისინი ამ ნამდვილად სამშვიდობო გზით, ერთადერთით, რომლითაც შეიძლებოდა ბანაკში დაბრუნება. ახლა ისინი სხვებთან ერთად ელოდებოდნენ წყლის დაკლებას. პროდუქტები და განათების საშუალებანი მათ ორ დღეს ეყოფოდათ, ხოლო მკაცრი ეკონომიის შემთხვევაში, შესაძლებელია ოთხ დღესაც.

დილით, დაახლოებით ათ საათზე, ერთხელ კიდევ შევამოწმე წყლის დონე, საკონტროლო პუნქტიდან დამიძახა ლეშიმ, რომელიც ამ დროს უფსკრულს ელაპარაკებოდა და ყურმილი გამომიწოდა. მომესმა ჯგუფური სიმღერა, არც თუ ისე შეწყობილი, მაგრამ ისეთი ხმამაღალი და ხმაურიანი...

მთელი დღე ვცდილობდით პერის უფსკრულში ჩასვლას და ოთხმოცმეტრიან შავ ჭაში ჩაშვებას, მაგრამ ჩვეულებრივად მშვიდი ნაკადულები ამჯერად ჩანჩქერებად ქცეულან: ვეება წყალი ბობოქრობს.

16 და 17 აგვისტოს, იმ დროს როცა უფსკრულის ტყვეები სიმღერით უშფოთველად ელოდნენ წყლის დაკლებას, გაზეთები გამოდიოდა სენსაციური სათაურებით. „განგაში კუმ უარნედში!“ „დაიკარგა ოთხი სპელეოლოგი!“ „პერის უფსკრულის ოთხი მსხვერპლი!“.

ბოლოს, 18 აგვისტოს, როდესაც მიწისქვეშა ბანაკში პროდუქტები შემოელიათ, გადავწყვიტეთ შევდგომოდით რვა სპელეოლოგის ამოყვანას. მაშველი ჯგუფი ჩაეშვა ორასი მეტრის სიღრმეზე. ექსპედიციის ყველა დანარჩენი წევრი ერთმანეთს ცვლიდა ჯალამბართან, რომელიც შავი ჭის თავზე იდგა. დილის ოთხ საათზე სპელეოლოგებმა კუმ უარნედის ბანაკამდის მიაღწიეს, სადაც კვლავინდებურად წვიმდა, მიდამოს ნისლი ბურავდა.

1957 წლის ექსპედიცია ნაკლებ შედეგიანი იყო და უამინდობის გამო დროზე ადრე დავამთავრეთ.

## ბალახის ჰოკეი და... ქალები

მიმდინარე წლის 7-16 სექტემბერს ქალაქ ბოსტონში (აშშ) შედგება მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში ქალთა შორის. ჯერ კიდევ ბევრისათვის ცნობილი არაა, რომ სპორტის ეს სახეობა დიდი პოპულარობით სარგებლობს აშშ-ში, დასავლეთ გერმანიაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში, დანიაში, საფრანგეთსა და ბელგიაში. ყველა ეს ქვეყანა შედის „ბალახის ჰოკეის ქალთა ასოციაციაში“. მაგრამ ბალახის ჰოკეი განსაკუთრებით გავრცელებულია ინგლისელთა შორის. ინგლისელმა ქალებმა ბალახის ჰოკეის თამაში ჯერ კიდევ 1895 წელს დაიწყეს. მიუხედავად ამისა, ვაჟებმა მაინც უარი თქვეს მათ მიღებაზე თავის სპორტულ კავშირში. ამჟამად დიდ ბრიტანეთს ბალახის ჰოკეის დაახლოებით 1000 ქალთა კლუბი ჰყავს. ბალახის ჰოკეის ქალთა კავშირი უშვებს თავის საკუთარ გაზეთს, სასწავლო ფილმებს. ამ ფილმებს ფართოდ იყენებენ სკოლებში, სადაც ბალახის ჰოკეი სავალდებულო დისციპლინას წარმოადგენს. ინგლისის სკოლებში შექმნილია დაახლოებით ქალთა 1.500 ახალგაზრდული გუნდი.

რედაქტორი ი. უგულავა.

18 აპრილს, 16 საათზე საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) საზოგადოების საქალაქო განყოფილება და საქართველოს სპორტკავშირის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფედერაციების პრეზიდიუმი თბილისის სკოლების ფიზაღზრდისა და ბავშვთა სპორტული სკოლების მასწავლებელთათვის აწყობს პროფესორ ვ. ს. ფარფელის (მოსკოვი) საჯარო ლექციას — „სასკოლო ასაკის ბავშვთა მოძრაობათა თვისებების განვითარება ფიზიკური აღზრდის საშუალებით“.



# 22 აპრილი

## საქართველო-იუგოსლავია

## კლასიკური ჭიდაობა

დასაწყისი 19 საათზე.

# ყურადღება!

ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის შენობაში (ს. კიროვის სახ. პარკი) 17 აპრილიდან 21 აპრილამდე იწარმოებს ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის მატჩზე დასასწრები აბონემენტების (ადგილის მიუთითებლად) ხელახალი რეგისტრაცია. ის აბონემენტი, რომელიც რეგისტრაციაში არ გატარდება, გაუქმდება.

რეგისტრაცია იწარმოებს 12-დან 19 საათამდე.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01026